1) ვარსკვლავები, რომლებიც ნისლოვანედთა ნათებას იწვევენ, მხოლოდ შემთხვევით უახლოვდებიან მათ სივრცეში ძრაობის დროს. ამ თვალსაზრისის მიხედვით ყოველი აღებული ნისლოვანედი დროის სხვადასხვა მომენტში შეიძლება დაუახლოვდეს ყოველგვარ შესაძლო სპექტრალური ტიპის სხვადასხვა ვარსკვლავს და ამის მიხედვით შესაბამი არეკლილი სპექტრი მოგვცეს; შეიძლება აგრეთვე, რომ დროის გარკვეულ შუალედში, როცა ნისლოვანედის საკმაო მახლობლობაში არ მოიპოვება საკმარისად კაშკაშა ვარსკვლავი, ის (ნისლოვანედი) სავსებით გაუნათებელი დარჩეს და, მაშასადამე, დამკვირვებლისათვის უჩინარი იყოს; 2) ვარსკვლავი, რომელიც ნისლოვანედის ნათებას იწვევს, ამ უკანასკნელთან გენეტიურად არის დაკავშირებული, ე. ი. საერთო წარმოშობა და სივრცეში ერთნაირი ძრაობა აქვთ.

ჩვენ აქ განვიხილავთ საკითხს იმის შესახებ, თუ ამ ორ შესაძლებლობათაგან რომელი შეესაბამება სინამდვილეს: ნისლოვანედთა და ვარსკვლავთა შემთხვევითი კავშირის ჰიპოთეზა, თუ ჰიპოთეზა მათი გენეტიური კავშირის შესახებ.

საკითხის ამოხსნა შემდეგი გზით შეიძლება იქნეს მიღწეული: შემთხვევითი კავშირის ჰიპოთეზის შემთხვევაში შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ აღებულ სპექტრალურ ტიპის ვარსკვლავთა მიერ განათებულ ნისლოვანედთა პროცენტი ყველა ნათელ ნისლოვანედთა მიმართ კოსმიური სივრცის მოცულობის იმ ნაწილის პროპორციული არის, რომელიც ამავე სპექტრალური ტიპის ვარსკვლავებით არის განათებული. რაც უფრო მეტი მოცულობა არის განათებული მოცემული სპექტრალური ტიპის ვარსკვლავთა მთელი სიმრავლით, მით უფრო მეტი ნისლოვანედი აღმოჩნდება ამ მოცულობის შიგნით და განათებული იქნება ამ სპექტრალური ტიპის ვარსკვლავებით. თავის მხრივ, გარკვეული სპექტრალური კლასის ვარსკვლავებით და გარკვეული ხარისხით განათებული სივრცის ნაწილი ამ კლასის ვარსკვლავთა საერთო რიცხვსა და მათ აბსოლუტურ სიკაშკაშეზე არის დამოკიდებული. რაც უფრო მეტია იმ ვარსკვლავთა რიცხვი და, აგრეთვე, რაც უფრო მაღალია მათი აბსოლუტური სიკაშკაშე, მით უფრო მეტი იქნება განსახილავი ტიპის ვარსკვლავებით განათებული სივრცის ნაწილი. ამის გამო თვითეული სპექტრალური ტიპის ვარსკვლავებით განათებული სივრცის მოცულობის ნაწილის ფარდობითი და აბსოლუტური ოდენობანი, თვითეული ტიპის „ნათების ფუნქციის“ საშუალებით, ე. ი. ვარსკვლავთა სტატისტიკის მონაცემებით შეიძლება იქნენ გამოთვლილნი.

შემთხვევითი კავშირის ჰიპოთეზის სამართლიანობა მოითხოვს, რომ სხვადასხვა ტიპის ვარსკვლავებით განათებულ ნისლოვანედთა რიცხვი, ასეთგვარად გამოთვლილ ფარდობით მოცულობათა პროპორციული აღმოჩნდეს.

სხვადასხვა ტიპის ვარსკვლავით განათებული სივრცის ფარდობით მოცულობათა გამოთვლა მოყვანილია ქვემოდ და მიღებულია სავსებით დამაკმაყოფილებელი ახსნა-განმარტება იმ ფაქტის, რომ თვით ამრეკლავ ნისლოვანედთა უმრავლესობაც კი B (სახელდობრ B1—B9) ტიპის ვარსკვლავებით არის განათებული.

არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ განაწილების ახსნა-განმარტება გენეტიური კავშირის ჰიპოთეზის საფუძველზე შეიძლებოდეს. მართლაც, რატომ მტვეროვან ნისლოვანედებთან სწორედ B1—B9 ტიპის ვარსკვლავები უნდა იყვენ დაკავშირებულნი და არა სხვა რომელიმე, მაგ., M ტიპის ვარსკვლავები? მეორეს მხრივ, სივრცეში „ბნელ“ ნისლოვანედთა არსებობის ფაქტი, რაც სავსებით ბუნებრივია შემთხვევითი კავშირის ჰიპოთეზის თვალსაზრისით, გენეტიური კავშირის ჰიპოთეზის შემთხვევაში გვაიძულებს დაუშვათ, რომ მაინც არსებობენ მთელი რიგი ნისლოვანედები, რომლებიც არც ერთ ვარსკვლავთან არ არიან დაკავშირებულნი. პირველად, სანამ შეუდგებოდეთ შემთხვევითი კავშირის ჰიპოთეზის შემოწმების ზემოდაღნიშნულ მეთოდის დეტალური სახით განვითარებას, შევნიშნავთ, რომ შესაძლებელია ამ ჰიპოთეზის შემოწმების სხვა გზებიც; ასე, მაგ., საგულისხმოა ვარსკვლავებისა და მათ მიერ განათებულ ნისლოვანედების სხივურ სიჩქარეთა შედარება*. იმ შემთხვევაში, როცა ვარსკვლავსა და მის მიერ განათებულ ნისლოვანედს შორის არ არსებობს ფიზიკური კავშირი, მათ სხივურ სიჩქარეთა შორისაც არ უნდა არსებობდეს რაიმე გარკვეული კანონზომიერებითი კავშირი. ცხრ. I-ში მოყვანილი არსებული დაკვირვებითი მასალა გვიჩვენებს, რომ ასეთი კორელაცია მართლაც გამორიცხულია, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ დაკვირვებითი მასალის სიმცირე არ გვაძლევს საშუალებას რაიმე სავსებით გადამწყვეტი ხასიათის დასკვნა მივიღოთ. მეორეს მხრივ, არ არის გამორიცხული გენეტიური კავშირის თვალსაზრისისა და ვარსკვლავთა და ნისლოვანედთა სხივური სიჩქარეების თანხვდენილობის ერთმანეთთან შეთავსება; ასე, მაგ., Zanstra-ს მიხედვით[3] დიფუზური ნისლოვანედნი (ამ შემთხვევაში საკითხი ეხება აირად ნისლოვანედებს) არ იმყოფებიან სტატიკურ მდგომარეობაში და ვარსკვლავისაკენ მიმართულებით ადგილი აქვს მათი ზედაპირიდან მატერიის უწყვეტ დენადობას; ამასთანავე, ძირითადად, სწორედ ეს დენადი მატერია ანათებს. ამიტომ, ვარსკვლავის და ნისლოვანედის სხივურ სიჩქარეთა შორის უნდა არსებობდეს ერთგვარი სხვაობა, თუმცა ნისლოვანედის მთავარ მასას შეიძლება ისეთივე სიჩქარე ჰქონდეს, როგორც ვარსკვლავს.

ზემოდაღნიშნულის გამო უნდა მივიღოთ, რომ შემოწმების უფრო სწორ მეთოდს სტატისტიკური მეთოდი წარმოადგენს, რაც თვითეული ტიპით განათებული სივრცის საერთო მოცულობის გამოთვლაზე არის დამყარებული.

თავის თავად ცხადია, რომ ცნება „ვარსკვლავით განათებული მოცულობა“ ზუსტ განმარტებას მოითხოვს. მკაცრად რომ ვთქვათ, ვარსკვლავი უსასრულო მოცულობას ანათებს. ამის მიუხედავად დიდი მანძილების შემთხვევაში ვარსკვლავიდან მიღებული განათება იმდენად მცირეა, რომ ნისლოვანედი დამკვირვებლისთვის უჩინარი იქნება. ამიტომ, პრაქტიკული თვალსაზრისით, თვითეულ ვარსკვლავის გარშემო ისეთი მოცულობა განვიხილოთ, რომლის შიგნით განათება აღემატება ერთგვარ ქვედა ზღვარს, რომელიც შეიძლება ისეთ უმცირეს განათებათ ჩავთვალოთ, როცა ჩვენი ინსტრუმენტებით და ფოტოფირფიტებით კიდევ ხელმისაწვდომია და შესაძლებელი ობიექტთა რეგისტრაცია. კერძოდ, უფრო ხელსაყრელია განათების ქვემო ზღვრად ისეთი განათება მივიღოთ, რომლის დროსაც შესაძლებელია Mount Wilson-ის ობსერვატორიის 60″ რეფლექტორით ერთ საათიანი ექსპოზიციის შემთხვევაში ნისლოვანედის ფოტოგრაფირება.

ვარსკვლავის სიკაშკაშე I-ით ავღნიშნოთ; მაშინ, მისგან r მანძილით დაშორებულ და მისი სხივების მართობილ რომელიმე ზედაპირის ერთ კვადრატულ სანტიმეტრით მიღებული ენერგიის რაოდენობა იქნება: $\frac{I}{4\pi r^2}$. თუ დაუშვებთ, რომ ზედაპირი მასზედ დაცემულ სინათლეს მთლიანად არეკლავს, მაშინ ენერგიის რაოდენობისათვის, რომელიც ამრეკლავ ნისლოვანედის ზედაპირის ერთეულიდან დედამიწის ზედაპირის ერთეულზე ეცემა, გვექნება გამოსახვა (1), სადაც R-ით აღნიშნულია მანძილი დედამიწისა და ნისლოვანედს შორის.

მეორეს მხრივ, ნისლოვანედის ზედაპირის რკალის ერთი კვადრატული მინუტი, როცა ამ ნისლოვანედის პარალაქსი p გამოსახული არის რკალის სეკუნდებში, ფართის ჩვეულებრივ ერთეულებში შეესაბამება სიდიდეს:

$$\left(\frac{60R_\odot}{p}\right)^2,$$

სადაც $R_\odot$ წარმოადგენს მანძილს დედამიწისა და მზეს შორის. ამასთანავე, რადგან p-სთვის გვაქვს:

$$p=\frac{R_\odot}{R}\,206000$$

იმავე ფართისათვის გვექნება გამოსახვა (2).

თუ, ახლა, ენერგიის რაოდენობას (1), რომელსაც დედამიწის ზედაპირის ერთი კვადრატული სანტიმეტრი ღებულობს ნისლოვანედის ზედაპირის ერთ კვადრატულ სანტიმეტრიდან, გავამრავლებთ (2)-ზე, ვიპოვით ენერგიის რაო-

* შემოწმების ასეთ შესაძლებლობაზედ მიუთითა Hubble-მა თავის პირველ შრომაში დიფუზურ ნისლოვანედთა შესახებ (Aph J. 66, p. 162, 1922).

დენობას, რომელსაც დედამიწის ერთი კვადრატული სანტიმეტრი ღებულობ ნისლოვანედის ზედაპირის ერთი კვადრატული მინუტიდან:

$$\frac{I}{4\pi r^2 4\pi}\left(\frac{60}{206000}\right)^2=\frac{I}{(13732\pi r)^2}.$$

მნათი ვარსკვლავის ხილული სიდიდე m_*-ით ავღნიშნოთ, ვარსკვლავურ სიდიდე ნისლოვანედის თვითეული კვადრატული მინუტიდან კი m_s-ით; მაშ შეგვიძლია დავწეროთ:

$$m_*-m_s=-2{\cdot}5\log[4\pi r^2(3433)^2]+5\log R.$$

ამ ტოლობიდან მარტივი გარდაქმნის შემდეგ ვპოულობთ:

$$\log r=-0{\cdot}5\log 4\pi(3433)^2+0{\cdot}2(m_*-M)+1.$$

თუ, ახლა, m_s-ის მაგიერ ჩავსვამთ ზღვარულ ვარსკვლავურ სიდიდეს ერთ კვადრატული მინუტიდან, რომელიც შესაძლოა იქნეს ფოტოფიქსირებულ Mount Wilson-ის ობსერვატორიის 60″ რეფლექტორით ერთ საათიან ექსპოზიციის შემთხვევაში, ვიპოვით დამოკიდებულებას მნათ ვარსკვლავის აბსო ლუტურ სიდიდესა და იმ მანძილს r_0 შორის, რომელზედაც ის ამ ზღვარულ განათებას უზრუნველყოფს.

შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ m_s (ზღვარული)=23.25; ამიტომ მივ ღებთ (3)-ს.

მეორეს მხრივ, ცხადია, რომ განათებული სივრცის მოცულობა ტოლ $\frac{4}{3}\pi r_0^3$, რადგან ამ მოცულობის შიგნით მდებარე ყოველ ნისლოვანედს ექნებ დაკვირვებისათვის შესაძლო ზედაპირული სიკაშკაშე. ამიტომ, თუ მხედველ ბაში მივიღებთ (3), განათებული მოცულობისათვის v ვიპოვით გამოსახვ (4), სადაც C (4′)-ით განისაზღვრება.

აქედან ცხადია, თუ როგორია განათებული მოცულობის დამოკიდებ ლება ვარსკვლავის აბსოლუტურ სიდიდეზე.

ვთქვათ ახლა, რომ განსახილავი სპექტრალური ტიპის ვარსკვლავთა ნ თების ფუნქცია არის $\Phi(M)$, ე. ი. $\Phi(M)dM$ წარმოადგენს აღებული სპექტრ ლური ტიპის იმ ვარსკვლავთა რიცხვს მოცულობის ერთეულში, რომელ აბსოლუტური სიდიდე M და $M+dM$ შუალედის შიგნით არის მოქცეული; მ შინ ცხადია, რომ მოცულობის ერთეულის ის ნაწილი, რომელიც აღებულ სპექტრალური ტიპით იქნება განათებული, წარმოგვიდგება ინტეგრალით (5).

რადგან $\Phi(M)$ ფუნქცია აღებულ სპექტრალურ კლასისათვის ცნობილ

ხოლო $v(M)$ ფუნქციის სახე უკვე მიღებულია, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია P-ს მნიშვნელობა თვითეული სპექტრალური კლასისათვის განვსაზღვროთ. სიდიდე P-ს მიღებული მნიშვნელობანი მოცემულია ცხრ. II-ში.

საჭიროა შევნიშნოთ, რომ ამ ცხრილის გამოთვლის დროს აღმოჩნდა, რომ $\Phi(M)$ და $v(M)$ ფუნქციათა მაქსიმუმი თვითეული სპექტრალური კლასისათვის შედარებით მაღალ აბსოლუტურ სიდიდეებზე მოდის, სახელდობრ, აღებული კლასის ზებუმბერაზებზე; ამასთანავე ეს ფუნქციები აბსოლუტურ სიკაშკაშეთა ზრდადი მიმართულებით ყოველ აღებულ შემთხვევაში სუსტად მცირდებოდენ; ამიტომ, ერთობ დიდ აბსოლუტურ სიკაშკაშეთა შუალედისათვის გვიხდებოდა ზოგჯერ $\Phi(M)$ და $v(M)$ ფუნქციების მნიშვნელობათა ექსტრაპოლაცია, რასაც ეროგვარი შეცდომა შემოჰქონდა.

ცხრ. II-ში მოყვანილი P სიდიდის მნიშვნელობანი არსებითად კოსმიური სივრცის იმ ნაწილებს წარმოადგენენ, რომლებიც შესაბამ კლასის ვარსკვლავებით არიან განათებული. თუ ყველა ამ რიცხვებს შევკრებთ, რომელსაც შემდეგში ჩვენ დაუმატებთ აგრეთვე O ტი'ის შესაბამ რიცხვსაც, დავინახავთ, რომ ვარსკვლავებით სივრცის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია განათებული; ამიტომ, თუ ვარსკვლავთა და ნისლოვანედთა შემთხვევითი კავშირის ჰიპოთეზა სწორია, მაშინ განათებულ ნისლოვანედთა რიცხვი სავსებით უმნიშვნელო უნდა იყოს გაუნათებელ ნისლოვანედთა რიცხვთან შედარებით.

ცხრ. II-ის მონაცემთა უშუალო შედარების შესაძლებლობას დაკვირვებულ ნისლოვანედთა ფარდობით რიცხვებთან ართულებს ის გარემოება, რომ B ტიპის ვარსკვლავები გვხვდებიან კავშირში როგორც ემისიურ, ისე ამრეკლავ ნისლოვანედებთან. გარდა ამისა საჭიროა P სიდიდის მნიშვნელობა განსაზღვრულ იქნეს აგრეთვე O ტიპის ვარსკვლავთათვის. ცნობილია, რომ Bo ტიპის ვარსკვლავები ემისიურ ნისლოვანედებთან კავშირში გვხვდებიან, ხოლო B1 – B9 ტიპის კი ჩვეულებრივად ამრეკლავ ნისლოვანედებთან. ამიტომ, O და Bo ტიპის ვარსკვლავთათვის P-ს მნიშვნელობანი ჩვენ მიერ ცალ-ცალკე იყო გამოთვლილი.

მეორეს მხრივ, B და Bo ტიპის შესაბამ P სიდიდეთა სხვაობა მოგვცემს P-ს მნიშვნელობას B1—B9 სპექტრალურ ერთობლიობისათვის.

O და Bo ტიპის ვარსკვლავთათვის P სიდიდის განზღვრის მიზნით აუცილებელია თვითეულ მათგანისთვის $\Phi(M)$ ფუნქციის ცოდნა. ვინაიდან ამ ფუნქციათა შესახებ მონაცემები არ მოგვეპოვება, ამიტომ, ჩვენ ჩავთვალოთ, რომ ისინი გამოისახებიან განაწილების ერთგვარი ნორმალური კანონით (6), სადაც M_0 აღებული ტიპის ვარსკვლავთა საშუალო აბსოლუტურ სიდიდეს წარმოადგენს, σ — აბსოლუტურ სიდიდეთა დისპერსიას, ხოლო A — ერთგვარ მუდმივ სიდიდეს, რომელიც განსაზღვრავს აღებული ტიპის ვარსკვლავთა აბსოლუტურ კონცენტრაციას სივრცეში. მივიღებთ-რა განსახილავი კლასის ვარსკვლავთათვის ნათების ასეთ ფუნქციას, შეგვიძლია შეუდგეთ იმ ვარსკვლავთა რიცხვის გამოთვლას, რომელთა ხილული სიკაშკაშე, რომელიმე გარკვეულ ვარსკვლავურ სიდიდეს m_0 აღემატება; ამასთანავე ჩვენ ვიგულისხმებთ, რომ განსახილავი ტიპის ვარსკვლავები გალაქტიკის სიბრტყეში თანაბრად არის განაწილებული (ე. ი.

გალაქტიკის სიბრტყის მართობი მიმართულებით დისპერსიას თითქმის სრულებით არ აქვს ადგილი) და პირველად დაუშვებთ, რომ სინათლის შთანთქმას ადგილი არ აქვს; მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა იმ ვარსკვლავებს, რომელთა აბსოლუტური სიდიდე არის M და მდებარეობენ უფრო ახლო ვიდრე $r=10^{0.2(m_0-M)+1}$, ხილული სიკაშკაშე ექნებათ მეტი ვიდრე m_0; ამიტომ, სივრცის მოცულობა, რომელშიაც ეს ვარსკვლავები იქნებიან ხილულნი, შეიძლება გამოვსახოთ შემდეგით:

$$\pi r^2 h = \pi h 10^{0.4(m_0-M)+2},$$

რადგან ეს მოცულობა შეიძლება იქნეს წარმოდგენილი ცილინდრის სახით, რომლის ფუძე გალაქტიკის სიბრტყის პარალელურია და აქვს რადიუსი r: ხოლო სიმაღლე კი რომელიმე სიდიდის h ტოლია.

აქედან, ამ მოცულობაში მოქცეულ ვარსკვლავთა რიცხვი, რომელთა აბსოლუტური სიდიდე არის M და რომლებიც m_0-ზე უფრო კაშკაშად აისახებიან ჩვენ მიერ, გამოისახება ნამრავლით:

$$\pi r^2 h \Phi(M) = A\pi e^{-\frac{(M-M_0)^2}{2\sigma^2}} 10^{0.4(m_0-M)+2} h,$$

რომლის ინტეგრობით ყველა შესაძლო აბსოლუტურ სიდიდეთა შუალედში, ჩვენ ვღებულობთ m_0 ხილულ სიდიდეზე უფრო კაშკაშა განსახილავ ტიპის ვარსკვლავთა სრულ რიცხვს, გამოთქმულს (7) სახით.

მეორეს მხრივ, ანალოგიური მსჯელობით მივალთ იმ დასკვნამდე, რომ B0—B9 სპექტრალური ტიპების იმ ვარსკვლავთა საერთო რიცხვი რომელთა ხილული სიდიდე მეტია ვიდრე m_0, გამოისახება ინტეგრალით (8), სადაც $\varphi(m)$ — Van Rhijn-ის და Schwassmann-ის ცხრილში გათვალისწინებულ B ტიპის ყველა ვარსკვლავთა ნათების ფუნქციას წარმოადგენს.

ჩვენ ვიგულისხმებთ, რომ როგორც განსახილავი ტიპისათვის (B0 ან O), ისე, აგრეთვე, B ტიპისათვისაც სიდიდე h ერთი და იგივეა, ე. ი. რომ გალაქტიკის სიბრტყის მართობი მიმართულებით დისპერსია ორთავე შემთხვევაში ერთმანეთის ტოლია; მაშინ, თუ (7) გავყოფთ (8)-ზე, ვპოულობთ (9)-ს.

(9) ტოლობის მარჯვენა ნაწილის ინტეგრალი მნიშვნელში შეიძლება გამოთვლილ იქნეს Van Rhijn-ის და Schwassmann-ის მონაცემების საფუძველზე[1]; მრიცხველის ინტეგრალიც გამოითვლება, თუ ცნობილი იქნება M_0 და σ. ამ უკანასკნელისათვის ჩვენ ვისარგებლეთ Plaskett-Pearce-ის მონაცემებით O და B0 ტიპებისათვის, შესაბამისად.

ეს მონაცემები შემდეგია:

სპექტრ. ტიპი	M_0	σ
O	—4.0	1.33
B0	—3.4	1.28

$N_{B0,B9}(m_0)$ და $N(m_0)$ რიცხვები B0 და O ტიპებისათვის შეიძლება გამოვთვალოთ ვარსკვლავთა რომელიმე სპექტრალური კატალოგიდან, რომელშიც ყველა ვარსკვლავებია მოცემული გარკვეულ ხილულ სიდიდემდე. ამიტომ თვითეულ საკვლევ სპექტრალური ტიპისათვის (B0 და O) შესაძლოა A სიდიდის პოვნა.

ყველა აღნიშნული მხოლოდ იმ შემთხვევაშია სამართლიანი, როცა ვარსკვლავთაშორისი შთანთქმა არ არსებობს. შთანთქმის დაახლოებითი გათვალისწინება შემდეგი გზით შეიძლება. ემოდ მივიღეთ, რომ თვითეული სპექტრალური ტიპის ვარსკვლავთა რიცხვი იმ მოცულობის პროპორციულია, რომლის შიგნით აღებული ტიპის ვარსკვლავებს m_0-ზე უფრო მეტი ხილული სიკაშკაშე აქვთ. შთანთქმის არსებობის დროს ეს მოცულობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მაშინ, როცა შთანთქმას ადგილი არა აქვს, რადგან, მაგ., O ტიპის ვარსკვლავები, რომელთა საშუალო აბსოლუტური სიდიდე $M=-4$, როცა $m_0=9.0$ მოსჩანან 4×10^3 პარსეკამდე თუ შთანთქმას არ აქვს ადგილი, ხოლო მაშინ-კი, როცა არსებობს შთანთქმა $0^m.6$ სიდიდისა კილოპარსეკზე, ისინი ხილულნი იქნებიან მხოლოდ 2200 პარსეკის მანძილზე. ამრიგად, შესაძლოა გამოვითვალოთ Draper-ის კატალოგით შემოსაზღვრული ნამდვილი მოცულობის შეფარდება იმ მოცულობასთან, რომელიც იქნებოდა შემოსაზღვრული იმავე კატალოგის ვარსკვლავებით სივრცის სავსებით გამჭვირვალობა შემთხვევაში; ამასთანავე, ჩვენ მივიღებთ რომ Draper-ის კატალოგის ზღვარული სიდიდე $m_0=9.0$.

ჩვენ მიერ ამგვარი გამოთვლებით B0 და O ტიპისათვის (ალ-ალკე მიღებული იყო შესაბამი შემასწორებელი მამრავლები და (9) განტოლების მარჯვენა ნაწილის ინტეგრალი მრიცხველში ამ მამრავლზე მრავლდებოდა.

ჩვენ ვისარგებლეთ H. D. კატალოგით. როგორც ცნობილია B0—B9 ტიპის ვარსკვლავთა საერთო რიცხვი ამ კატალოგში 16.786 უდრის. მეორეს მხრივ, B0 ტიპის ვარსკვლავთა რიცხვი კი ამავე კატალოგის საფუძველზე გამოთვლის დროს აღმოჩნდა 286; ხოლო, O ტიპის ვარსკვლავები აბსორბციული სპექტრით, რომელსაც ჩვენ მივაკუთვნეთ აგრეთვე O_e და O_{e5} ვარსკვლავებიც— 53. ამ მონაცემების საფუძველზე გამოთვლილი იყო A სიდიდე ორთავე სკვლევ ტიპისათვის. თუ ამის შემდეგ (5) ფორმულაში შევიტანთ (6) გამოსახვას, ჩვენ მივიღებთ O და B0 ტიპების შესაბამ P სიდიდის მნიშვნელობებს. საბოლოოდ P სიდიდის მნიშვნელობათათვის ჩვენ შეკადგინეთ ცხრ. III. ამ ცხრილის

უკანასკნელ სვეტში მოცემულია იმ ნისლოვანედთა რიცხვი n, რომელიც თვითეული სპექტრალური კლასის ვარსკვლავთა მიერ არის განათებული. ამავე ცხრილიდან სჩანს, რომ O და Bo ტიპებისათვის P სიდიდის ჯამი 0.8×10^{-4} ტოლია, მაშინ როცა B1 — M ტიპებისათვის ეს ჯამი უდრის 4.4×10^{-4}.

ამრიგად, O და Bo ვარსკვლავებთან დაკავშირებული ემისიურ ნისლოვანედთა თეორიული რიცხვი $5^1/_2$-ჯერ ნაკლები უნდა იყოს ვიდრე ამრეკლავ ნისლოვანედთა რიცხვი. დაკვირვებითი მასალიდან-კი Hubble-ის შრომაში ემისიურ ნისლოვანედთა რიცხვი 18-ის ტოლია, ხოლო ამრეკლავ ნისლოვანედთა — 64, ე. ი. ფარდობა 4-ზე ნაკლებია. სხვა მხრივ კი შემთხვევითი კავშირის ჰიპოთეზა ამრეკლავ ნისლოვანედთა მათი გამნათებელი ვარსკვლავების სპექტრალური ტიპის მიხედვით განაწილებისათვის დაახლოებით სწორ სურათს გვაძლევს. კერძოდ, ეს ჰიპოთეზა მშვენიერ ახსნას აძლევს იმ ფაქტს, რომ ამრეკლავ ნისლოვანედთა შორის დიდ უმრავლესობას B1—9 სპექტრი აქვს. ამის გარდა, ერთობ საგულისხმოა ისიც, რომ ცხრილის მიხედვით, M ტიპით განათებული ნისლოვანედები თითქმის სრულებით არ უნდა არსებობდენ, რაც აგრეთვე მშვენივრად ეთანხმება დაკვირვებითი მასალას, რადგანაც ამდაგვარი ნისლოვანედი მართლაც არ ყოფილა ჯერ შენიშნული.

საერთოდ უნდა მივიღოთ, რომ შემთხვევითი კავშირის ჰიპოთეზა ამრეკლავ ნისლოვანედთა მიმართ მთლიანად დასაბუთებულია და სამართლიანი. რაც შეეხება ემისიურ ნისლოვანედთ, უნდა ითქვას, რომ ზემოდაღნიშნულ რიცხვობრივ შეუთანხმებლობის მიუხედავათ, სინამდვილეში მათი კავშირიც Bo და O ტიპის ვარსკვლავებთან აგრეთვე შემთხვევითია, რადგან P სიდიდეთა რიცხვობრივ მნიშვნელობათა გამოთვლისას არსებული განუზღვრელობა საკმარისად დიდია და მას შეეძლო გამოეწვია აღნიშნული შეუსაბამობა ექსპერიმენტალურ მონაცემებთან.

პირველი შეხედვით ზედმეტად გაბედულად მოსჩანს ჩვენი დასკვნა, რომ ემისიური და ამრეკლავი ნისლოვანედები არსებითად ერთიდაიმავე ტიპის ობიექტებს წარმოადგენენ, რომელთა სპექტრი მათ განმანათებელ ვარსკვლავთა სპექტრზე არის დამოკიდებული. მართლაც დღემდე ფიქრობდენ, რომ ამრეკლავი ნისლოვანედები საკმარისად მცირე მყარ ნაწილაკთაგან, ე. ი. კოსმიური მტვერისაგან შესდგებიან, მაშინ როცა ემისიური ნისლოვანედები აირწილაკთა სიმრავლეს წარმოადგენენ; მაგრამ, თუ მივიღებთ შემთხვევითი კავშირის ჰიპოთეზას, მაშინ დასკვნა ორთავე ობიექტის ერთდაიმავე ბუნების შესახებ აუცილებლობას წარმოადგენს.

მართლაც, ერთობ ძნელი იქნებოდა სხვაგვარად აგვეხსნა ის გარემოება, რომ ამრეკლავი, ე. ი. მტვროვანი ნისლოვანედები არ გვხვდება ბუნებაში O და Bo ტიპის ვარსკვლავებთან დაკავშირებული. პრინციპიალურად სავსებით მოსალოდნელია, რომ O და Bo ტიპის ვარსკვლავებს ისევე შეეძლოთ სივრცეში არსებულ კოსმიური მტვრის ღრუბლთა განათება, როგორც სხვა დანარჩენი, უფრო სუსტი სპექტრალური ტიპის ვარსკვლავთ. მეორეს მხრივ, ცნობილია ფაქტი ერთ და იმავე ნისლოვანედში არეკლილ და ემისიურ სპექტრთა თანაარსებობისა სწორედ ისეთ შემთხვევებში, როცა ნისლოვანედი B1

ტიპის ვარსკვლავთან არის კავშირში. ამრიგად, მივიღებთ რა ორთავე ტიპის ნისლოვანედთა ბუნების ერთგვაროვნების ჰიპოთეზას, ჩვენ უნდა დაუშვათ, რომ ნისლოვანედს შეუძლია როგორც არეკლილი, ისე ემისიური სპექტრის მოცემა იმისდამიხედვით, თუ როგორია იმ ვარსკვლავის სპექტრალური კლასი, რომელსაც იგი დაუახლოვდება სივრცეში ძრაობის დროს.

მოსალოდნელია, რომ ეს გარემოება გამოწვეულია მით, რომ O და Bo ტიპის ვარსკვლავები მტვროვან ნისლოვანედებთან შეხვედრისას იწვევენ აირთა ინტენსიურ გამოყოფას კოსმიური მტვრიდან და ამ აირთა შემდგომი აღგზნებით უზრუნველყოფენ ნისლოვანედის ემისიურ სპექტრს; ამ მხრივ, იმ პროცესის ანალოგიური რაც გვაქვს, რომელსაც მზესთან კომეტის მიახლოებისას აქვს ადგილი, როცა მყარ წილაკთაგან შედგენილ გულიდან გამოიყოფა გაზი, რომელიც წარმოშობს თავსა და კუდს და, რომელიც იმავე მზის გამოსხივების გავლენით ემისიურ სპექტრს იძლევა; მზისაგან დიდ მანძილზე კი კომეტებს არ აქვთ კუდი და აირადი გარსი და არეკლავენ მზის უწყვეტ სპექტრს.

თუ ცხრ. III-ის მეორე სვეტის ყველა რიცხვებს შევაჯამებთ, მივიღებთ, რომ ყველა ვარსკვლავები ერთად აღებულნი, ვარსკვლავთაშორისი სივრცის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს ანათებენ, სახელდობრ:

$$\Sigma P = 5\cdot2\times10^{-4}.$$

ამრიგად, რადგან ვარსკვლავებით განათებულია მთელი ვარსკვლავთაშორისი სივრცის მხოლოდ ორი მეათასედი ნაწილი და რადგან ნისლოვანედთა სივრცეში განაწილება შემთხვევითია და ვარსკვლავებზე დამოუკიდებელი, ამიტომ თვითეულ ნათელ დიფუზურ ნისლოვანედზე დაახლოებით ორი ათასი გაუნათებელი დიფუზური ნისლოვანედი მოდის. თუ ერთ საათიანი ექსპოზიციის შემთხვევაში 60″ რეფლექტორისათვის შესამჩნევ დიფუზურ ნისლოვანედთა რიცხვს 150-ით განვსაზღვრავთ, მაშინ იმავე ინსტრუმენტისათვის შესამჩნევად შესაძლო ყველა დიფუზურ ნისლოვანედთა რიცხვი დაახლოებით უნდა იყოს 3×10^5. ყველა 150 ნათელი ნისლოვანედი უნდა მდებარეობდეს ჩვენგან 2.000 პარსეკზე უფრო ახლო, რადგან უფრო შორი მანძილის შემთხვევაში კოსმიური შთანთქმა შეამცირებდა მათ ზედაპირულ სიკაშკაშეს და დაკვირვებისათვის მიუწვდომლად გახდიდა. მაშასადამე, ყველა 300.000 ბნელი ნისლოვანედნიც ჩვენგან 2.000 პარსეკზე უფრო ახლო უნდა მდებარეობდენ.

აქედან არ არის ძნელი ერთ კუბურ პარსეკში მოქცეულ ნისლოვანედთა საერთო რიცხვის ქვემო ზღვარის გამოთვლა. მართლაც, აღნიშნული ნისლოვანედნი უნდა მდებარეობდენ ცილინდრის შიგნით, რომლის ფუძის რადიუსი 2.000 პარსეკია, ხოლო სიმაღლე — 200 პარსეკს არ აღემატება. თუნდაც რომ დაუშვათ ცილინდრის სიმაღლისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა, ე. ი., რომ ნისლოვანედნი გვხვდებიან 100 პარსეკზედ უფრო დიდ მანძილზე გალაქტიკის სიბრტყიდან, გამოთვლებისას მაინც უნდა ვისარგებლოთ ნაჩვენები ციფრით —

200 პარსეკით, რადგან გალაქტიკის სიბრტყიდან 100 პარსეკზედ უფრო შორ მანძილებზე ნისლოვანედების გამნათებ ლ ვარსკვლავთა (უმთავრესად O და B ტიპების) კონცენტრაცია ერთობ მცირეა და ამ უბანში არსებულ ნისლოვანედთა წარმომადგენ ლთ არ ექნებათ ალბათობა ჩვენ მიერ ნაჩვენებ 150 ნათელ ობიექტებში მოხვედრისა. ამიტომ ეს ნისლოვანედები მიღებულ 300.000 ნისლოვანედთა რიცხვში არ შედიან.

ჩავთვლით რა, რომ ნაჩვენები 3×10^5 ნისლოვანედი განაწილებულია აღნიშნული ცილინდრის მოცულობის შიგნით, მივიღებთ რომ ყოველ 8.000 კუბურ პარსეკზე ერთი დიფუზური ნისლოვანედი მოდის. თუ გალაქტიკის სიბრტყეში ავიღებთ ჩვენგან l მანძილით დაშორებულ მხედველობის სხივს, მაშინ ამ უკანასკნელით გადაკვეთილ ნისლოვანედთა რიცხვი იქნება $n\sigma l$, სადაც σ არის ნისლოვანედის განივკვრილი, ხოლო n — ნისლოვანედთა რაოდენობა ერთ კუბურ პარსეკში. ზემოდ თქმულის მიხედვით $n=\frac{1}{8000}$. თუ ვიგულისხმებთ, რომ განივკვრილი σ დაახლოებით 25 კვადრატული პარსეკის ტოლია (რაც საკმარისად შეესაბამება იმ ფაქტს, რომ ნისლოვანედთა დიამეტრების მნიშვნელობანი გვჰვდებიან 1 და 20 პარსეკს შუა), მაშინ ვღებულობთ, რომ როცა $l=1000$ პარსეკს, მხედველობის სხივი საშუალოდ 3 ნისლოვანედს გადაჰკვეთს.

სინამდვილეში ჩვენ მიერ აღებული ზღვარული მანძილი 2000 პარსეკის სიდიდით, ალბათ, ზედა ზღვარს წარმოადგენს. ამ მანძილის რამდენადმე გადიდება, მხედველობის სხივით გადაკვეთილ ნისლოვანედთა რიცხვისთვის სწრაფ ზრდას მოგვცემს. ქვემოდ განვიხილავთ საკითხს სინათლის შთანთქმის შესახებ ამ გაუნათებელი დიფუზური ნისლოვანედების მიერ.

მნათი ვარსკვლავის ხილულ სიდიდესა და ნისლოვანედამდე მის კუთხურ მანძილს შორის ურთიერთ მიმართების განზღვრის დროს, რაც Hubble-ის ფარდობის სახელწოდებით არის ცნობილი, იმთავითვე გულისხმობენ, რომ ვარსკვლავის სინათლეს ნისლოვანედი მთლიანად არეკლავს, ან, ყოველ შემთხვევაში, მის საგრძნობ ნაწილს მაინც. ის გარემოება, რომ დაკვირვებითი მასალა მთლიანად ადასტურებს ამ თეორიულ მოსაზრებას, მოწმობს რომ ასეთი თვალსაზრისი სწორია, ე. ი. მართლაც ხდება ნისლოვანედებიდან მათზე დაცემული სინათლის საგრძნობი ნაწილის არეკლა. ყოველ შემთხვევაში ეს ნაწილი აუცილებლად უნდა აღემატებოდეს ვარსკვლავთაგან ნისლოვანედებზე დაცემული სინათლის 10%, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში თეორიული და ექსპერიმენტალური ფარდობანი საშუალოდ ერთობ საგრძნობი სიდიდის განსხვავებებს მოგვცემდენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ნისლოვანედებიდან აირეკლება მიღებული სინათლის მთელი რაოდენობის არა ნაკლები 30%-სა; არეკლის ასეთი უნარი ნიშნავს, რომ ნისლოვანედთა უკან მოთავსებულ ვარსკვლავთა სინათლე 30%-ით, ე. ი. $0^m.3$ სუსტდება. თუ მივიღებთ ახლა მხედველობაში ზემოდმოყვანილ გამოთვლას, რომ 1000 პარსეკის მანძილზე სხივი საშუალოდ 3 ნისლოვანედს გადაჰკვეთს, მაშინ ნათელია, რომ გაუნათებელ დიფუზურ ნისლოვანედთა სიმრავლით გამოწვეული შთანთქმა გალაქტიკის სიბრტყეში არ იქნება $0^m.9$ ან ერთ

ვარსკვლავურ სიდიდეზე ნაკლები ერთ კილოპარსეკზედ. მეორეს მხრივ ცნობილია, რომ სივრცეში ადგილი აქვს საერთო კოსმიურ შთანთქმას, რომელიც ერთ კილოპარსეკზე $0^m.6$—$0^m.7$ აღწევს; აქედან, ბუნებრივია დაუშვათ, რომ საერთო კოსმიური შთანთქმა გაუნათებელ დიფუზურ ნისლოვანედთა ერთობლ ობით არის გამოწვეული. ასეთი დასკვნის სამართლიანობაში ჩვენ არ უნდა დაგვაეჭვოს იმ გარემოებამ, რომ ამ უკანასკნელთა მიერ გამოწვეული შთანთქმისათვის ჩვენ მიერ მიღებული ოდენობა რამდენადმე აღემატება კოსმიური შთანთქმის საშუალო კოეფიციენტს, რადგანაც, ამ ოდენობის გამოთვლისას ჩვენ ეს რკებლობდით ნისლოვანედთა განივკვრილის σ მნიშვნელობით, რომელიც ჩვენთვის, რასაკვირველია, ხუსტად არ არის ცნობილი, და რომელიც, მოსალოდნელია, გადაჭარბებით იყო აღებული. საერთო კოსმიური შთანთქმის ასეთი ინტერპრეტაცია ჩვენ მით უფრო სამართლიანად მიგვაჩნია, რომ უკვე დიდი ხანია იწვევდა ეჭვს მისი არათანაბარი განაწილება სივრცეში.

უნდა დაუმატოთ, რომ სხვადასხვა ნისლოვანედთ აუცილებლად სხვადასხვაგვარი ოპტიური სისქე აქვთ. გაუნათებელ ნისლოვანედთა შორის აუცილებლად უნდა იყოს ისეთებიც, რომელთა ოპტიური სისქე ერთ ვარსკვლავურ სიდიდეს აღემატება. ამდაგვარი გაუნათებელი ნისლოვანედები, მათ უკან მოთავსებულ ვარსკვლავთა სინათლის ინტენსიური შთანთქმის გამო, ჩვენ „ბნელ“ ნისლოვანედებათ უნდა მოგვეჩვენონ. ასეთი თვალსაზრისის მიხედვით, ნათელი და ბნელი ნისლოვანედები განხილული უნდა იქმნან როგორც წარმომადგენელნი დიფუზურ ნისლოვანედთა ერთობ ფართე კლასის, რომლის წევრთა უმრავლესობა განათებული არ არის. თვითეულ ნისლოვანედს შეუძლია აგრეთვე მის უკან მოთავსებულ ვარსკვლავთათვის კოლორ-ექსცესის გამოწვევა. G. Shajn-ი, რომ ლმაც დიფუზურ ნისლოვანედებს შიგნით მოთავსებულ ვარსკვლავთა კოლორ-ექსცესის საკითხი შეისწავლა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ კოლორ-ექსცესთა ნაწილი, სახელდობრ, 0.1 ვარსკვლავური სიდიდე, თვით დიფუზური ნისლოვანედით არის გამოწვეული, ხოლო, დანარჩენი ნაწილი კი შუალით ჩვენსა და ნისლოვანედს შორის. თუ ნისლოვანედი მასში მოთავსებულ ვარსკვლავისათვის ასეთი სიდიდის კოლორ-ექსცესს იწვევს, ცხადია, არა ნაკლები სიდიდის იქნება მათ მიერ გამოწვეული კოლორ-ექსცესი იმ ვარსკვლავთათვის, რომლებიც მათ უკან იმყოფებიან; ამიტომ, უნდა ჩავთვალოთ, რომ თვითეული დიფუზური ნისლოვანედი საშუალოდ $0^m.1$-დან $0^m.2$-დე სელექტურ შთანთქმას იწვევს. აქედან გამომდინარეობს, რომ თვითეულ კილოპარსეკზე სელექტური შთანთქმა $0^m.3$-ს უნდა აღემატებოდეს, რადგან სინათლის სხივი, როგორც ეს ზემოდ იყო აღნიშნული, თავის გზაზე საშუალოდ 3 ნისლოვანედს გადაჰკვეთს.

ქვემოდ ჩვენ დავასაბუთებთ, რომ იმ ფაქტების ერთობლიობა, რომელნიც შეეხებიან კოსმიურ შთანთქმას, როგორც საერთოს, ისე სელექტურს, — საესებით ადასტურებს ჩვენ მიერ აქ წამოყენებულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ორთავე ეს შთანთქმა გამოწვეულია არა თანაბრად განაწილებული მატერიით სივრცეში, არამედ გაუნათებელ ცალკე ნისლოვანედთა ერთობლიობით.

მშთანთქმელი მატერიის არათანაბრად განაწილების მკვეთრად გამოსახული ხასიათი მთელ რიგ ავტორთა მიერ იყო აღნიშნული. ცნობილია, რომ ერთობ ხშირად გვხვდება შემთხვევები, როცა რომელიმე უბანი მძლავრი სელექტური შთანთქმით ერთობ ახლო (გალაქტიკური გრძედის სულ რამოდენიმე გრადუსის დაშორებით) მდებარეობს ისეთ უბანთან, სადაც სელექტური შთანთქმა საგრძნობლად მცირეა; სავსებით ანალოგიურად უნდა მივიღოთ, რომ რძის გზაზე სიკაშკაშის განაწილების არაერთგვაროვნობა საგრძნობლად არის დამოკიდებული მშთანთქმელი მატერიის განაწილების არაერთგვაროვნობაზე. აღნიშნულ არაერთგვაროვნობათა მიზეზის ახსნა სავსებით შეუძლებელი იქნებოდა, თუ ჩვენ მშთანთქმელი ბნელი მატერიისათვის მივიღებდით ისეთ განაწილებას გალაქტიკაში, როცა მისი სიმკვრივე კოორდინატთა მძიმედ კლებად ფუნქციას წარმოადგენს. მაშინ, რეზულტატური შთანთქმა, რომელიც მხედველობითი სხივის გასწვრივ ინტეგრობით მიიღება, ზეციური სფეროს კოორდინატთა კიდევ უფრო მძიმედ კლებადი ფუნქცია უნდა ყოფილიყო. უკვე მარტო ეს გარემოებაც კი საკმარისია იმისათვის, რომ მივიდეთ დასკვნამდე, რომ ვარსკვლავთაშორისი სივრცეში განაწილებულ მშთანთქმელ მატერიას დაქუცმაცებული და ნაკუწ-ნაკუწად შესქელებული სახე აქვს; აქედან სავსებით ბუნებრივია შეხედულება, რომლის თანახმად მატერიის კონცენტრაცია ამ შესქელებებშია განხორციელებული გაუნათებელ დიფუზურ ნისლოვანედთა სახით.

მეორეს მხრივ, ერთობ საინტერესოა ის ფაქტი (G. Shajn-ის მიერ მითითებული), რომ ბნელი ადგილები რძის გზაზე არ ემთხვევიან დიდი სელექტური შთანთქმის მქონე უბნებს *. მშთანთქმელი მატერიის უწყვეტი განაწილების თვალსაზრისით ეს ფაქტი სავსებით გაუგებარია. მართლაც, სელექტურ შთანთქმას სულ სხვა ზომის წილაკები იწვევენ, ვიდრე ნეიტრალურ შთანთქმას. საერთო შთანთქმა კი წარმოადგენს ნეიტრალური შთანთქმის და იმ შთანთქმის ჯამს, რომელიც სელექტურ შთანთქმაზე არის დამოკიდებული. იქ, სადაც სელექტური შთანთქმა არსებობს, მასზე დამოკიდებული საერთო შთანთქმაც მნიშვნელოვანი სიდიდის არის. ამიტომ, თუ დიდ და მცირე ზომის წილაკთა განაწილება ერთმანეთზე დამოუკიდებელია, ან, თუ ორთავე განაწილების შორის დადებითი კორელაცია არსებობს, მაშინ საშუალოდ იქ, სადაც სელექტური შთანთქმა დიდია, დიდი უნდა იყოს აგრეთვე საერთო შთანთქმაც. აქედან, თუ გამოვალთ მშთანთქმელი მატერიის უწყვეტი განაწილების თვალსაზრისიდან და მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ რძის გზის ზედაპირულ სიკაშკაშესა და გაწითლების შორის არ არსებობს კორელაცია, მივალთ ხელოვნურ დასკვნამდე იმის შესახებ, რომ დიდ და მცირე ზომის წილაკთა განაწილებათა შორის უარყოფითი კორელაცია არსებობს, ე. ი. სივრცის იმ უბანში, სადაც მოზრდილ წილაკთა რიცხვი დიდია, პატარა ზომის წილაკთა რაოდენობა მცირეა და პირიქით. ქვემოდ დავინახავთ, რომ ჩვენ მიერ განვითარებული თვალსაზრისი მშთანთქმელი შუალის და დიფუზურ ნისლოვანედთა ერთობლიობის იგივეობის შესახებ ამ ფაქტს სავსებით ბუნებრივი ახსნა-განმარტება შეიძლება მიეცეს ყოველგვარი დამატებითი სახის დაშვების გარეშე.

სიმარტივისათვის მივიღოთ, რომ თვითეული დიფუზური ნისლოვანედი ვარსკვლავური სიდიდის გარკვეულ ნაწილს შთანთქავს (როგორც ეს ზემოდ იყო ნაჩვენები, დაახლოებით $0^m.3$). ეს შთანთქმა ვარსკვლავურ სიდიდის ერთეულებში ავღნიშნოთ k-თი. შემდეგ, ვთქვათ, რომელიმე r მანძილზე სხივით გადაკვეთილ ნისლოვანედთა რიცხვი არის n; მაშინ, როგორც ცნობილია, სხივის ამ გზაზე ნისლოვანედთა საშუალო რიცხვის საშუალო კვადრატული სხვაობა $\sqrt{n}$ იქნება; ამიტომ, ამ მანძილზე საშუალო შთანთქმა ვარსკვლავური სიდიდის ერთეულებში იქნება nk, ხოლო შთანთქმის საშუალო კვადრატული სხვაობა $k\sqrt{n}$. ცხადია, რაც უფრო დიდია მანძილი, ე. ი. რაც უფრო დიდია r, მით უფრო მეტია ვარსკვლავურ სიდიდის ერთეულებში გამოსახული შთანთქმის საშუალო კვადრატული სხვაობა, და, მაშასადამე, რაც უფრო შორსაა შესასწავლ კლასის ობიექტები, ამ ობიექტთა სიკაშკაშისთვის მით უფრო დიდი ფლუქტუაციები უნდა გამოიწვიოს კოსმიური შთანთქმის სიდიდის რყევამ. მთავარია ის, რომ მანძილის გადიდებისას იზრდება აგრეთვე შთანთქმის ფლუქტუაციებიც, გამოსახულნი ვარსკვლავურ სიდიდის ერთეულებში, ე. ი. ლოგარითმულ სკალაში. ამაშია განსხვავება ნისლოვანედთა რიცხვის რყევით გამოწვეულ სიკაშკაშის ფლუქტუაციებსა და ყველა სხვაგვარ ფლუქტუაციათა შორის, რომლებიც ფიზიკაში გვხვდება. ასე მაგ., თუ დავაკვირდებოდით თანაბრად განათებულ სფეროს, როცა ამ უკანასკნელსა და ჩვენს შორის მდებარეობს მუდმივი ოპტიური სისქის k მქონე ბნელ ნისლოვანედთა ერთობლიობა, მაშინ, ნისლოვანედთა საშუალო რიცხვის გადიდების დროს, ნისლოვანედებში გავლილი სინათლის ჩვენი დაკვირვებით ფიქსირებული ინტენსიობის ფლუქტუაცია, გამოსახული ვარსკვლავურ სიდიდეებში მანძილის ერთეულზე იქნებოდა მით უფრო მეტი, რაც მეტია ნისლოვანედთა საშუალო რიცხვი სინათლის სხივის გზაზე აღებული მიმართულებით. მაშასადამე, ბნელი და ნათელი უბნების კონტრასტიც რძის გზაზე უნდა გადიდებულიყო აგრეთვე ნისლოვანედთა რიცხვის გადიდებით. სწორედ ამის გამო არარეგულარობა საერთო და სელექტურ შთანთქმაში არა თუ არ უნდა კლებულობდეს, არამედ, პირიქით, უნდა მატულობდეს მანძილის გადიდებისას განსახილავ ობიექტებამდე. ამიტომ სასურველი იყო შეგვემოწმებინა ფლუქტუაციისათვის თეორიიდან გამომდინარე რიცხვითი მნიშვნელობა და მისი ზრდა მანძილთან ერთად.

მაგრამ ასეთი შემოწმება არ წარმოადგენს ისეთ მარტივ საქმეს, როგორც ეს ერთის შეხედვით სჩანს; ასე მაგ., თუ B ტიპის რომელიმე გარკვეული ქვეკლასის, ვთქვათ B_3 ვარსკვლავთა კოლორ-ექსცესს განვიხილავთ, დავინახავთ, რომ კოლორ-ექსცესთა სხვაობა შეიძლება წარმოიშვას არა მარტო შთანთქმითი ფლუქტუაციის შედეგად, არამედ იმის შედეგადაც, რომ ამ ვარსკვლავებს აბსოლუტურ სიდიდეთა ერთი გარკვეული დისპერსია აქვთ, და, მაშასადამე, მათი მანძილი ერთმანეთში პროცენტების მიხედვით საკმარისად დიდად განსხვავდება.

ჩვეულებრივად, სხვადასხვა ტიპის ვარსკვლავთათვის, შთანთქმის სელექტური კოეფიციენტის განსაზღვრის დროს ვარსკვლავთა მანძილი გამოჰყავთ იმ დაშვებიდან, რომ აღებულ ვარსკვლავს აღებული სპექტრალური ქვეკლასის საშუალო აბსოლუტური სიდიდე აქვს; სინამდვილეში კი აბსო-

ლუტური სიდიდე შესაძლოა განსხვავდებოდეს საშუალოდან და ამიტომ ასეთ
გზით განზღვრული მანძილი არ იქნება სწორი. მანძილის არასისწორის გამ-
ასეთრიგად განზღვრული სელექტური შთანთქმის კოეფიციენტთათვის წარმოი-
შობა ერთგვარი მოჩვენებითი დისპერსია. ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ
რომ ეს დისპერსია მანძილის პროპორციულად იზრდება და, პრაქტიკულად
ყველა შემთხვევებში აღემატება ზემოდგანხილულ სელექტური შთანთქმის კოე-
ფიციენტთა ნამდვილ დისპერსიას. ამიტომ, ამ უკანასკნელის განზღვრის საკითხ
ერთობ რთულდება.

ამ გართულებათა დაძლევის მიზნით სასურველია გავიხილოთ ისეთი
ობიექტები, რომლთა მიმართ ჩვენ დაბეჯითებით ვიცით რომ ისინი ჩვენგან
ერთი და იმავე მანძილით არიან დაშორებულნი.

ჩვენ ფიქრობთ, რომ შორეულ ობიექტთა შორის ასეთებს ორმაგი და
ჯერადი ვარსკვლავთ-გროვები წარმოადგენენ. მაგ., ყოველგვარი ეჭვის გარე-
შეა, რომ χ და h Persei ჩვენგან ერთსა და იმავე მანძილით არის დაშორე-
ბული. ამიტომ ერთობ საინტერესოა გამოირკვეს საკითხი იმის შესახებ არსე-
ობს, თუ არა კოლორ-ეფექტი ერთი მათგანისთვის მეორეს მიმართ. ამ საკით-
ხის გადასაჭრელად საჭიროა ორთავე ვარსკვლავთ-გროვაში შემავალ ერთსადა-
იმავე სპექტრალური ტიპის ვარსკვლავთათვის კოლორ-ექსცესთა სხვაობის შე-
დგენა. ამ მიზნით ჩვენ Thorndike-ს მიერ მიღებული[9] კოლორ-ექვივალენ-
ტებით ვისარგებლეთ. შედარებულ იყო ერთმანეთთან h Persei-ს თერთმეტ
და χ Persei-ს ათი ვარსკვლავის კოლორ-ექსცესები; ამასთანავე ყველა აღე-
ბული ვარსკვლავები Bo—Ao სპექტრალური შუალედით იყო შემოსაზღვრული.
ამ შედარებამ გვიჩვენა, რომ χ Persei-ს h Persei-ს მიმართ დადებითი
კოლორ-ექვივალენტი აქვს, რომლის ოდენობა $0^m.24 \pm 0^m.07$ გამოისახება.

ეს შედეგი, თუმცა არასრულ მასალაზეა დაფუძნებული, ჰაგრამ მაინც
შიგვითითებს იმ გარემოებაზე, რომ ერთი ვარსკვლავთ-გროვიდან მეორეზე
გადასვლისას, ადგილი აქვს საკმარისად დიდ ფლუქტუაციას სელექტურ შთან-
თქმაში.

ზემოდ აღნიშნული იყო, რომ მშთანთქმელი მატერიის უწყვეტი განაწი-
ლების თვალსაზრისით შეუძლებელია აიხსნას ის ექსპერიმენტალური ფაქტი,
რომ სელექტური შთანთქმის სიდიდესა და რძის გზის ზედაპირულ სიკაშკაშეს
შორის კორელაცია არ არსებობს. ბნელი მატერიის წყვეტილი განაწილების
თვალსაზრისით კი, ეს გარემოება ადვილად შეიძლება იქნეს განმარტებული.
საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ რძის გზის ზედაპირული სიკაშკაშის მნიშ-
ვნელოვანი ცვალებადობა, როგორც ეს Kreiken-მა გვაჩვენა, მხოლოდ იმ
ბნელ მატერიას შეუძლია გამოიწვიოს, რომელიც ჩვენგან არა უმეტესი 200
პარსეკის დაშორებით იმყოფება. ამიტომ ჩვენი თვალსაზრისის საფუძველზე
შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ზედაპირული სიკაშკაშის განაწილება რძის გზაზე
ძირითადად დამოკიდებულია იმ გაუნათებელ ნისლოვანედებზე, რომლებიც
ჩვენგან 200 პარსეკზე უფრო ახლო მდებარეობენ.

მეორეს მხრივ, სელექტური შთანთქმა შესწავლილია ძირითადად Stebbins-ის და Huffer-ის შრომის[10] საფუძველზე, რომელიც წარმოადგენა მასალას ჩვენგან 500-600 პარსეკის დაშორებით მდებარე B ტიპის ვარსკვლავთა შესახებ. მაშასადამე, ამ მასალის საფუძველზე მიღებული სელექტური შთანთქმის კოეფიციენტის განაწილების სურათი, იმ გაუნათებელ ნისლოვანედთა განაწილებაზე არის დამოკიდებული, რომლებიც ჩვენგან 500 პარსეკის და კიდევ უფრო მეტი დაშორებით მდებარეობენ. ამრიგად, ზედაპირული სიკაშკაშის განაწილება რძის გზაზე, ერთის მხრივ, და სელექტური შთანთქმის კოეფიციენტის განაწილება, მეორეს მხრივ, ნისლოვანედთა ორ სხვადასხვა სიმრავლეზე არის დამოკიდებული. მართალია, ერთი ამ სიმრავლეთაგანი მეორის ნაწილს შეადგენს, მაგრამ, ნისლოვანედთა რიცხვის ფლუქტუაცია, ერთ რომელიმე სიმრავლეში აღებული მიმართულებით, ცხადია, თითქმის სავსებით დამოუკიდებელი იქნება იმავე მიმართულებით მეორე სიმრავლის ნისლოვანედთა რიცხვის ფლუქტუაციაზე; რძის გზის ზედაპირულ სიკაშკაშეა და სელექტური შთანთქმის კოეფიციენტს შორის თითქმის არავითარი კორელაცია არ უნდა არსებობდეს; არსებული დაკვირვებითი მასალა ამ საკითხში სავსებით ადასტურებს ჩვენ მიერ განვითარებულ თეორიის ამ შედეგს.

ამ შრომაში ჩვენ ვაჩვენეთ, რომ დიფუზური ნისლოვანედები თავიანთ გამნათებელ ვარსკვლავებთან არ იმყოფებიან გენეტიურ კავშირში და ამ უკანასკნელთ ისინი მხოლოდ შემთხვევით ხვდებიან სივრცეში ძრაობის დროს. ამრიგად, სისტემა — „ნისლოვანედი და მისი გამნათებელი ვარსკვლავი" — შემთხვევითი შეხვედრის პროდუქტად უნდა ჩაითვალოს. ამ გარემოებას იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ ბუნებაში გაუნათებელ დიფუზურ ნისლოვანედთა რიცხვი ერთობ დიდია და გალაქტიკურ სივრცეში უსისტემოდ არის განაწილებული.

სათანადო გაანგარიშებანი გვარწმუნებენ, რომ ამ ნისლოვანედებით გამოწვეული შორეულ ვარსკვლავთა სინათლის შთანთქმის სიდიდე იმავე რიგისაა, როგორც დაკვირვებითი მასალის საფუძველზე მიღებული საერთო შთანთქმის რაოდენობა; ამიტომ, საერთო შთანთქმის მიზეზი სწორედ ამ გაუნათებელ ნისლოვანედებში უნდა ვეძიოთ. ამ თვალსაზრისით სავსებით გასაგებია, თუ რატომ აქვს ადგილი ზეციური სფეროს მეზობელ უბნებს შორის საერთო და სელექტურ შთანთქმის ფლუქტუაციათა დიდ მნიშვნელობებს. გარდა ამისა, ჩვენ მიერ ნაჩვენები იყო, რომ რძის გზის სხვადასხვა უბანთა ზედაპირულ სიკაშკაშესა და სელექტური შთანთქმის კოეფიციენტს შორის არავითარი კორელაცია არ არის მოსალოდნელი.

ჩვენ მიერ წამოყენებული თვალსაზრისის მიხედვით, არეკლითი, ემისიური და აგრეთვე „ბნელი" ნისლოვანედები სინამდვილეში დიფუზურ ნისლოვანედთა, როგორც ერთგვაროვან ობიექტთა კლასის, მხოლოდ ცალკე წარმომადგენლები არიან. ამასთანავე, დიფუზური ნისლოვანედები, რომელთაც დიდი ოპტიური სისქე აქვთ და არ არიან განათებული მაღალი სიკაშკაშის მქონე ვარსკვლავებით, ჩვენ მოგვეჩვენება როგორც ბნელი ნისლოვანედები; დიფუზური ნისლოვა-

ნედნი, რომლებიც B1—M ტიპის ვარსკვლავებით არიან განათებული, ამ უკ
ნასკნელთა სინათლეს მხოლოდ არეკლავენ და ამრიგად ჰქმნიან ე. წ. ამრეკლ
ნისლოვანედთა ჯგუფს; დაბოლოს დიფუზური ნისლოვანედები, რომლებიც
და B0 ტიპის ვარსკვლავთა გამოსხივების არეში იმყოფებიან, ემისიურ სპექტრ
გვაძლევენ, თუმცა მათი ფიზიკური ბუნება ამრეკლავ ნისლოვანედთაგან თავდ
პირველად, ე. ი. სანამ ისინი თავიანთ გამნათებელ ვარსკვლავთ არ შეხვდებია
არაფრით არ განსხვავდება. ასეთი შეხვედრის შემდეგ კი წარმოიშობა ერ
გვარი განსხვავება, რომელიც თავისი ემპირიული გამოვლენით იმ განსხვავებ
ანალოგიურია, რომელიც შეშნეულია მზიდან ახლო და შორ მანძილზე მდებარ
კომეტებს შორის.

ამრიგად, ჩვენ მიერ წამოყენებული თვალსაზრისი საკმაოდ
ბუნებრივ ინტერპრეტაციას აძლევს დღემდე გადაუწყვეტელ მთელ რიგ საკ
ხებს, რომლებიც შეეხება როგორც ბნელ, ამრეკლავ და ემისიურ ნისლოვანედ
ისე სელექტურ და საერთო კოსმიურ შთანთქმასაც. ამასთანავე, ამ თვალსა
რისში მიღწეულია კოსმიური შთანთქმის და დიფუზურ ნისლოვანედების პრ
ლემათა გაერთიანება, რაც საშუალებას გვაძლევს უკეთესად ვიფიქროთ ჰიპოთეზა განს
კუთრებული ბუნების მქონე უწყვეტად განაწილებული შუალის არსებობის
სახებ გალაქტიკაში.

სექტემბერი, 1937.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ბიულეტენი № 2. 1938
БЮЛЛЕТЕНЬ АБАСТУМАНСКОЙ АСТРОФИЗИЧЕСКОЙ ОБСЕРВАТОРИИ № 2. 1938
BULLETIN OF THE ABASTUMANI ASTROPHYSICAL OBSERVATORY No. 2. 1938

ახალ ვარსკვლავთა ტემპერატურის შესახებ ანთების საგოლოო ფაზაში

შ. გორდელაძე

პრობლემათა იმ ერთობლიობიდან, რომელიც ახალ ვარსკვლავთა ანთების მოვლენასთან არის დაკავშირებული, ერთ-ერთ აქტუალურ და მეტად მნიშვნელოვან საკითხს ტემპერატურის ცვალებადობა წარმოადგენს.

ცნობილია, რომ ანთების ეპოქაში ახალ ვარსკვლავთა სპექტრი ერთობ მდიდარია გრანდიოზული ცვლილებებით, რომელთაგან მკაფიოდ შეიძლება გამოიყოს ზოგიერთი კანონზომიერებითი ხასიათის თავისებურებანი. ასეთია, კერძოდ, ახალ ვარსკვლავთა სპექტრში მთავარი მაქსიმუმის დადგომის მომენტში ინტენსიური ნათელი ზოლების წარმოშობა. ეს მოვლენა იმდენად დამახასიათებელია ვარსკვლავთა სპექტრთათვის, რომ იმისდა მიხედვით მოიპოვება, თუ არა, სპექტრში აღნიშნული ნათელი ზოლები, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას ჰქონდა, თუ არა, ადგილი სიკაშკაშის მთავარ მაქსიმუმს, ე. ი., იმყოფება ახალი ვარსკვლავი სიკაშკაშის ზრდის თუ დაცემის ეპოქაში.

ახალ ვარსკვლავთა სპექტრი მთავარი მაქსიმუმის დადგომამდე წარმოადგენს ძირითადად აბსორბციულ სპექტრს, რომელსაც თან ახლავს სუსტი ემისიური კომპონენტები და, ამ მხრივ, სპექტრი შეიძლება ჩითვალოს საკმარისად ნორმალურად ზებუმბერაზ ვარსკვლავთათვის (ე. წ. სუპერ-გიგანტთათვის). სწორედ ამის გამო და აგრეთვე ბნელი ხაზების შედარებითი ინტენსიობის დაკვირვებათა საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ახალ ვარსკვლავთა ტემპერატურა ანთებამდე და განსაკუთრებით მთავარ მაქსიმუმამდე არ აღემატება 10^4 *grad*.

ახალ ვარსკვლავთა ევოლუციასთან დაკავშირებით ტემპერატურის ცვალებადობის შესწავლისათვის ძირითადია შემდეგი საკითხების გამორკვევა:

1. როგორია ვარსკვლავის ტემპერატურა ანთებამდე;

2. იცვლება, თუ არა ვარსკვლავის ტემპერატურა ანთების მომენტიდან სიკაშკაშის მთავარ მაქსიმუმამდე;